გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 6 ნოემბრის N2365 ბრძანებით შექმნილი სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე მდინარე ფაფრისხევში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ინერტული მასალების ამოღების მიზნით, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე საჯაროდ გამოცხადების პროცედურის ჩასატარებლად კომისიის შექმნის თაობაზე

ოქმი N1

ქ.გურჯაანი, ნონეშვილის გამზირი #13

11.11.2019

სხდომა დაიწყო: 14 სთ-ზე

სხდომა დამთავრდა: 15 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდა:

1) ვლადიმერ მუსალბიშვილი;

2) ბიჭიკო მაისურაძე;

3) თორნიკე ქიტოშვილი;

4) ჯემალი შალაშვილი;

5) ნიკა მურაკაშვილი;

**დღის წესრიგი**

1) სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 17 ოქტომბრის N22/7831 კორესპონდენციით მოწოდებული გეოსაინფორმაციო პაკეტის და თანდართული ფაილებით განსაზღვრული რეკომენდაციების განხილვა.

2) კომისიის მიერ კრიტერიუმების განსაზღვრა;

3) სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე მდინარე ფაფრისხევის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ინერტული მასალის ამოღების მიზნით, ინტერესთა გამოხატვის საჯაროდ გამოცხადება;

**კომისიის სხდომა გამოცხადდა გახსნილად:** სადაც კომისიის წევრმა ვლადიმერ მუსაბლიშვილმს განმარტა, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 30 სექტემბერის N8460 გ წერილით სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილების თანახმად, ეთხოვა გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მდინარე

ფაფრისხევის კალაპოტში არსებული ჭარბი აკუმულაციური უბნებიდან ინერტული ნატანის ამოღების საკითხთან დაკავშირებით გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება, ხოლო აღნიშნული წერილის პასუხად, სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 17 ოქტომბრის N22/7831 კორესპონდენციით მოწოდებული იქნა გეოსაინფორმაციო პაკეტი და თანდართული ფაილები.

კომისიამ ადგილზე დათვალიერების შედეგად მიზანშეწონილად მიიჩნია, აღნიშნულ ლოკაციაზე ამოღებული იქნას გეოსაინფორმაციო პაკეტის შესაბამისად ჭარბი ინერტული ნატანი. თუმცა ინერტული მასალის ამოღების სამუშაოებისას გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასმელი წყლის მილების დაზიანებისაგან დაცვის საკითხის გათვალიწინება. კერძოდ ინტერესთა გამოხატვის პროცედურით გამოვლენილმა პირმა აიპ „გურჯაანის მუნიციპალურ სერვისთან“ ერთად მასალის ამოღებამდე უნდა დააზუსტოს წყლის მილების ზუსტი ადგილმდებარეობა და უზრუნველყოს მილების დაცვა დაზიანებისაგან.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინება, აღნიშნული გეოსაინფორმაციო პაკეტში მოცემული დასკვნებისა და რეკომენდაციების ვიზუალური შეფასება, რაც ითვალისწინებდა ლიცენზიისაგან გათავისუფლებამდე საკითხის შეთანხმებას შესამაბის სამსახურებთან.

აღნიშნული საკითხის შესათანხმებლად გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს(წერილი N9159-გ, 22.10.2019), ასევე დაავალა გურჯაანის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს სალიცენზიო ობიექტის სიახლოვს გამავალი წყლის მილების დაცვის მიზნით გასატარებელი სამუშაოების შესახებ რეკომენდაციების(ტექნიკური პირობა) მომზადების მოთხოვნით.

ამ ორგანიზაციებმა მოგვაწოდეს თავისი პოზიცია. კერძოდ წინააღმდეგები არ არიან, რომ მოხდეს ფარისხევის კალაპოტის გაწმენდა.

გარდა ამისა, კომისიის წევრების მიერ დამატებით მოხდა კომისიურად წარბი ნატანის უბნის დათვალიერება და მიმართა კომისიის სხვა წევრებს დაეფიქსირებინათ თავისი აზრი.

**კომისიამ დაადგინა:**

1)სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, მდინარე ფაფრისხევის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან გეოსაინფორმაციო პაკეტის შესაბამისად, ინერტული მასალის ამოღების მიზნით, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე საჯაროდ გავრცელდეს ინფორმცია - დაინტერესებული პირებისაგან განცხადებების მიღების თაობაზე,;

2) დაინტერესებული პირი ვალდებულია ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მდინარე ფაფრისხევის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ინერტული

მასალის ამოღების მიზნით წარმოადგინოს განცხადება, რომელსაც თან უნდა ახლდეს მათ მიერ წარმოდგენილი წინადადება - დახურული პაკეტით, რომელიც უნდა შეიცავდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 6 ნოემბრის N2365 ბრძანებით შექმნილი კომისიის კრიტერიუმებს.

- განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო პირების რეესტრიდან;
- საკონტაქტო მონაცემები;
- მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობის დამადასტურებელი ინფორმაცია;(კერძოდ განმცხადებელს საკუთრებაში ან იჯარით უნდა გააჩნდეს სპეც ტექნიკა);
- ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების გამოცდილების შესახებ;
- მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში , მათ თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი;

3) განცხადებები მიიღება 15 ნოემბრიდან 10 საათიდან, 25 ნოემბრის 14 საათამდე. ქ. გურჯაანში, ნინოშვილის გამზირი N13-ში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში.

4) გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის N ბრძანებით შექმნილი კომისია ვალდებულებას იღებს, განცხადებების მიღების ვადის დასრულების დღესვე გამოავლინოს პირი და მომდევნო ხუთი დღის განმავლობაში დასაბუთებული წინადადებით მიმართოს სამინისტროს საქართველოს მთავრობასთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ჭარბი ინერტული მასალის ამოღებით დაინტერესებული პირის ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე.

5) დაევალოს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას , 2019 წლის 14 ნოემბერს საჯაროდ გაავცელოს/განათავსოს ინფორმაცია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე და მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე.

კომისიის თავმჯდომარე: ვლადიმერ მუსალბიშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: თორნიკე ქიტოშვილი

კომისიის მდივანი: ჯემალი შალაშვილი

კომისიის წევრები: ნიკა მურაკაშვილი

ბიჭიკო მაისურაძე